თამარ კვარაცხელია[1]

სწავლების ეფექტური მეთოდები ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართლის კურსისთვის

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია განიხილავს სწავლების მეთოდებს, რომელიც გამოიყენება ავტორის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტში საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ კურსზე ევროკავშირის ძირითად უფლებათა შესახებ. სტატია მიზნად ისახავს ხსენებული მეთოდების ეფექტიანობის შეფასებას.

ნაშრომი გამოკვეთს სწავლებს სამ ძირითად მეთოდს, რომლებსაც, ავტორის შეფასებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებების შესახებ კურსის სწავლების დროს. ეს მეთოდებია: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრაციის მეთოდი და სასამართლოს გადაწყვეტილებების წერილობითი კომენტარი.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი განსხვავდება მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებისგან. უფრო კონკრეტულად, ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების უფრო აქტიურ ჩართულობას, ვიდრე, უბრალოდ, ლექციის მოსმენა ან ესეს დაწერაა. ამ ტიპის მიდგომის ზოგიერთი მაგალითია: დებატები, ჯგუფური აქტივობები და როლური თამაშები. დემონსტრაციის მეთოდი უადვილებს მოსწავლეებს საკითხის უკეთ გააზრებას და ეხმარება მათ, ადვილად დაიმახსოვრონ ახალი მასალა. რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების კომენტარს, ავტორის მიერ შემოთავაზებული ფორმით, ინოვაციურია ქართული სამართლის სკოლებისთვის, რადგან იგი ფრანგული უნივერსიტეტების მიერ დანერგილი პრაქტიკის ანალოგია.[2] ამ მეთოდის გამოყენებით, სტუდენტს უვითარდება იურიდიული წერისა და არგუმენტაციის, კრიტიკული ანალიზისა და სასამართლო გადაწყვეტილებების სწორად გააზრების უნარები.

ზემოთ აღწერილი მეთოდები სრულად ეხმიანება კურსის მიზანებს, რაც თეორიულ ცოდნასთან ერთად, შესაბამისი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებასაც მოიცავს. აღნიშნული კი ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება ევროკავშირის ადამიანის უფლებათა სამართალში სპეციალიზაციას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის სამართალი; ძირითად უფლებათა სამართალი; სწავლების მეთოდები; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება; დემონსტრაციის მეთოდი; სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი;

შესავალი

ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციისაკენ საქართველოს გაძლიერებული მისწრაფების ფონზე, ბოლო ათწლეულის განმავლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ევროკავშირის სამართლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ამ სფეროში პროფესიონალი კადრების რაოდენობის გაზრდას.

---

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი, ელექტრონული ფოსტა: tamouna.kvaratskhelia@gmail.com

[2] სტატიის ავტორი არის პარიზის საკლეს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული. მან, ასევე, დაამთავრა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, სადაც ის გახდა ერასმუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის ბენეფიციარი მონპელიეს უნივერსიტეტში.

ამ მიმართულებით, სხვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ინიციატივებთან ერთად, ერთ-ერთი პროგრესული ნაბიჯია ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დანერგვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტში. ხსენებული საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტი ევროკავშირის სამართალს ეთმობა. წინამდებარე სტატია კონკრეტულად ეხება ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართლის კურსს და აღწერს სწავლების ზოგიერთ ეფექტიან მეთოდს, რომელსაც ავტორი აღნიშნულ კურსზე გამოიყენებს.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართლის კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ისახავს, მათ შორის:

- მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ძირითადი სისტემის შესახებ;
- გააცნოს მათ ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის ფარგლებში არსებული ფუნდამენტური უფლებების სამართლებრივი ხასიათი, მათი განმარტებისა და გავრცელების ფარგლები;
- მიაწოდოს მათ შესაბამისი ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს განასხვავონ ევროკავშირის ძირითადი უფლებათა ქარტიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ევროპული მექანიზმების როლი.
- დაეხმაროს სტუდენტებს სამართლებრივი ანალიზისა და სხვადასხვა პრაქტიკული უნარის განვითარებაში;
- განავითარებინოს სტუდენტებს მათი პროფესიული ინტეგრაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;

ამასთან, კურსისთვის დასახული მიზნების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები ხელს უწყობდეს ქვეყანაში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მიღწევას.

აღნიშნული მიზნები მოცემულია საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-3 მუხლში, რომლის თანახმადაც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია *“პიროვნული პოტენციალის ჰეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პიროების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის“*[3].

ზემოაღნიშნული მიზნებისა და კურსის შინაარსის გათვალისწინებით, შემოთავაზებული სწავლების მეთოდები ეხმარება სტუდენტებს, განივითარონ შემოქმედებითი უნარები. ასევე, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების შესწავლასთან ერთად, გაიღრმავონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კმომპეტენციები. შედეგად, ვიღებთ კონკურენტუნარიან სპეციალისტებს, როგორც შიდა, ისე - ევროპულ დონეზე.

წინამდებარე სტატიაში ავტორი აანალიზებს სწავლების სამ მეთოდს, რომელთა გამოყენებასაც, მისი აზრით, ხელშესახები შედეგები მოაქვს ადამიანის უფლებათა სფეროში წაკითხული სამართლის კურსის ბენეფიციარებისთვის. ეს მეთოდებია: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრაციის მეთოდი და სასამართლო გადაწყვეტილების წერილობითი კომენტარი.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წინამდებარე სტატია არ არის დაფუძნებული ავტორის, როგორც ლექტორის გამოცდილებაზე, არამედ ხსენებული მეთოდების ეფექტიანობა მან, როგორც სტუდენტმა გამოსცადა საფრანგეთის უნივერსიტეტებში სამართლის ფაკულტეტზე სწავლის დროს. აქედან გამომდინარე, ავტორის მიზანია, ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვა.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი – სტუდენტების აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში

თანამედროვე სამყარო სწრაფად იცვლება და მნიშვნელოვანია, სწავლების მეთოდებმაც ამ ცვლილებებს აუწყოს ფეხი. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ეს პროცესი სწავლების ტრადიციული მეთოდებიდან, ეტაპობრივად, ინოვაციურზე გადასვლას მოითხოვს.

[3] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ , იხილეთ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=97

სპეციალისტების მზარდი კონკურენტუნარიანობისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, განათლების მიღების პროცესში პრაქტიკული უნარების ჩართვა, უფრო და უფრო მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის შემუშავება კი არის უმაღლესი განათლების პასუხი აღნიშნული პროცესისადმი[4]. აქტიური ჩართულობის ეს ფორმა, სწავლის საყრდენი, სტუდენტებში ზრდის ინტერესს და ხელს უწყობს ავტონომიურობის განვითარებას[5].

გარდა იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას, ეს მეთოდი, ასევე, უადვილებს სტუდენტებს თეორიული ცოდნის შეძენას. როგორც ვიცით, მოსწავლეები წარმატებას აღწევენ მაშინ, როცა მოსწონთ და ინტერესდებიან იმით, რასაც სწავლობენ. უფრო მეტიც, თუ მათ ცოდნა იმ მეთოდით მიეწოდებათ, რომლითაც მათ სურთ სწავლა, მართლაც, წარმატების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. სტუდენტების ინტერესი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიმართ არის მათი განათლების მთავარი განმსაზღვრელი.

აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა, გაიზარდოს სტუდენტის მოტივაციის დონე მათთვის დაკისრებული ამოცანების წინაშე[6].

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი განსხვავდება მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მეთოდისგან. უფრო კონკრეტულად კი, ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების უფრო აქტიურ ჩართულობას, ვიდრე მხოლოდ ლექციის მოსმენა ან ესეს დაწერაა[7]. ამ ტიპის მიდგომის ზოგიერთი მაგალითია დებატები, ჯგუფური აქტივობები და როლური თამაშები, რომლებიც ძალიან მოსახერხებელი და ეფექტურია ევროკავშირის ძირითადი უფლებების სამართლის კურსისთვის. ამ შემთხვევაში, ლექტორი სტუდენტებს წარუდგენს რამდენიმე აქტივობას, შემდეგ კი, სტუდენტები თავად ირჩევენ მასალის სწავლის სასურველ მეთოდს.

დებატები განსაკუთრებით შედეგიანად გამოიყენება იმ სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას, რომლებიც გარკვეულწილად საკამათოა და თავად მოსამართლეები განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ. ამ შემთხვევაში, სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და თავიანთ პოზიციას დებატების საშუალებით იცავენ. ეს აქტივობა ეხმარება სტუდენტებს, საფუძვლიანად შეისწავლონ კონკრეტული თეორიული მასალა, რა დროსაც მათ უვითარდებათ ისეთი პრაქტიკულ უნარები, როგორებიცაა დებატებში მონაწილეობა, კრიტიკული ანალიზი, ჯგუფური მუშაობა და საჯარო გამოსვლების ხელოვნება.

ჯგუფური აქტივობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია სტუდენტების მცირე ჯგუფებად დაყოფა პრეზენტაციის მოსამზადებლად იმ თემაზე, რომელსაც თვითონ აარჩევენ. აღნიშნული აქტივობის შედეგად, სტუდენტები ეჩვევიან მასალის დამოუკიდებლად მოძიებასა და კვლევას, ამასთან, ივითარებენ ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარებს.

რაც შეეხება როლურ თამაშებს, ეს აქტივობა გამოიყენება იმიტირებული პროცესის დროს, როდესაც სტუდენტები სასამართლო პროცესის მონაწილეთა როლებს ირგებენ. შედეგად, ისინი დიდი ენთუზიაზმით სწავლობენ თეორიულ მასალას და იძენენ საჭირო პრაქტიკულ უნარებს. იმიტირებული პროცესი მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანის უფლებათა კურსისთვის, რათა მოამზადოს სტუდენტები რეალური პროფესიული ცხოვრებისთვის[8].

როგორც ვხედავთ, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ძალიან მრავალფეროვანი და მოქნილი მეთოდია, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვადასხვა მეთოდს. აღნიშნული კი, სხვა ხსენებულ პოზიტიურ ფაქტორთან ერთდ, ამ მეთოდს ძალიან საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის ეფექტიანობა დადასტურებულია მეცნიერულად. კვლევები ცხადყოფენ, რომ ლექციაზე მასწავლებლის შემცირებული ლიდერობის ფონზე, მოსწავლეები „იძულებულნი არიან, მეტი ძალისხმევა დახარჯონ, რათა სასწავლო მასალა შეისწავლონ უფრო ღრმად და მაღალ დონეზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი სრულყოფილ ცოდნას ეუფლებიან“.[9]

---

[4] La pédagogie centrée sur l'étudiant, https://www.fage.org/idees/enseignement-superieur/pedagogie-apprentissage/pedagogie-centree-etudiant.htm

[5] Dehaene, S., Apprendre! Le talents des cerveaux, le défi des machines, Éditions Odile Jacob, 2018

[6] Desjardins J., et Sénécal I., La Pédagogie Active, 2016, https://www.profweb.ca/publications/dossiers/la-pedagogie-active

[7] Complete Guide to Teacher-Centered vs. Student-Centered Learning, https://onlinedegrees.sandiego.edu/teacher-centered-vs-student-centered-learning/

[8] Lynch. A. “Why do we Moot? Exploring the Role of Mooting in Legal Education" [1996] LegEdRev 3; 7(1) Legal Education Review 67, http://www7.austlii.edu.au/cgi-bin/viewdoc/au/journals/LegEdRev/1996/3.html

[9] “Is the Student-Centered Learning Style More Effective Than the Teacher-Student Double-Centered Learning Style in Improving Reading Performance?”, Front. Psychol., 27 November 2019, https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2019.02630/full

თავად სტუდენტებიც ძალიან დადებითად აფასებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდს და აღნიშნავენ, რომ ამ პროცესში მათ განიხილავენ, როგორც ინდივიდებს საკუთარი იდეებითა და შეხედულებებით. შესაბამისად, ისინი ხდებიან გაბედულები, რომ ილაპარაკონ უფრო ხმამაღლა[10]. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მეთოდი ეხმარება უნივერსიტეტებს არა მხოლოდ იმაში, რომ აღჭურვონ სტუდენტები აკადემიური ცოდნით, არამედ ხელს უწყობს მათ ლიდერებად და გადაწყვეტილების მიმღებებად აღზრდას. შესაბამისად, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ფოკუსირებულია ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც სტუდენტებს უბიძგებს ინიდვიდუალიზმისკენ და საფუძველს აძლევს, რომ დამოუკიდებლად განაგრძონ სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე, თუნდაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ.

რაც შეეხება თეორიულ ნაწილს, ამ მეთოდის გამოყენებისას სტუდენტებისთვის კურსი უფრო ადვილად აღსაქმელი და საინტერესო ხდება შესასწავლად. გარდა ამისა, სწავლების პროცესიც ნაკლებად სტრესულია მათთვის. კვლევებიც ადასტურებენ, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი და ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში[11].

როგორც ვხედავთ, ამ მეთოდის გამოყენების შედეგები მრავალფეროვანია და ძალიან ეფექტურია, მათ შორის, იმ კურსებისთვის, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება და მრავალგვერდიან სასამართლო გადაწყვეტილებებს შეიცავენ. შედეგად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ინოვაციური აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამომუშავებას, ამაღლებს ავტონომიურად სწავლის შესაძლებლობას, ასევე, მდგრადი და სიღრმისეული სწავლის დონეს.

ვინაიდან სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება აქტიური მეთოდია და სტუდენტები მაქსიმალურად არიან ჩართულნი სალექციო პროცესში, ისინი რეგულარულად შეფასდებიან ჯგუფური აქტივობების, როლური თამაშების ან პრეზენტაციების მეშვეობით. შესაბამისად, ამ დროს მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, განსაზღვროს, რისი გაგება უჭირთ მოსწავლეებს, რისი შესწავლა უფრო სურთ და რა ნაბიჯები გადადგას მომავლისთვის. რაც შეეხება მოსწავლეთა წერითი უნარების შეფასებას, აღნიშნულ საკითხს წინამდებარე სტატიის მესამე ნაწილში განვიხილავ.

პრეზენტაციის მეთოდი - მოსწავლისა და მასწავლებლის პრეზენტაციები

პრეზენტაციის მეთოდი არის ტექნიკა, რომლის გამოყენებითაც ინფორმაციის გადაცემა ხდება ვიზუალიზაციის სხვადასხვა საშუალებით. იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ ინფორმაცია გადავცეთ ზუსტი და კარგად ჩამოყალიბებული ფორმით[12]. კურსის მიზნებისთვის, დემონსტრაცია გამოიყენება როგორც სასწავლო, ასევე - სწავლების საშუალებად. ერთი მხრივ, მასწავლებელი იყენებს პრეზენტაციის მეთოდს ახალი მასალის ასახსნელად, მეორე მხრივ კი, სტუდენტები ამ გზით წარმოადგენენ ნასწავლ მასალას. დემონსტრაციის მეთოდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა “Power Point”- ის პრეზენტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის მიერ “Power Point”-ის გამოყენება არ არის სიახლე და მას ხშირად მიმართავენ ლექციების დროს, რათა ვიზუალურად ხაზი გაუსვან იმას, რაზეც საუბრობენ[13]. როგორც კვლევები ადასტურებენ, ადამიანი ვიზუალური ქმნილებაა და ვიზუალურ ინფორმაციას (ფოტო, ვიდეო და ა.შ) 60 000-ჯერ უფრო სწრაფად აცნობიერებს, ვიდრე ტექსტს და იმახსოვრებს მას ხუთჯერ უფრო დიდი ხნის განმავლობაში. სწორედ ამიტომ არის ვიზუალიზაცია პრეზენტაციის მნიშნელოვანი კომპონენტი[14]. ის ეხმარება სტუდენტს, მარტივად აღიქვას თემა და კონცენტრირდეს მთავარ საკითხებზე. ამიტომ, ძირითადი საკითხებისთვის ხაზგასმას, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ძალა აქვს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ჰქვია პრეზენტაციის ჩვენ მიერ ხსენებულ პროგრამას “Power Point”-ი.

[10] What Is Student Centered Learning and Why Is It Important?, https://xqsuperschool.org/rethinktogether/what-is-student-centered-learning/

[11] What Is Student Centered Learning and Why Is It Important?, https://xqsuperschool.org/rethinktogether/what-is-student-centered-learning/

[12] Dr.Kapur R., Presentation Method: Indispensable in Imparting Knowledge in Educational Institutions at all Levels, University of Delhi, 2020, https://www.researchgate.net/publication/345893942_Presentation_Method_Indispensable_in_Imparting_Knowledge_in_Educational_Institutions_at_all_Levels

[13] General Teaching Methods, Presentation, 2020, https://www.open.edu/openlearncreate/mod/page/view.php?id=152277#:~:text=A%20presentation%20delivers%20content%20through,the%20audience%20in%20active%20discussions.

[14] Teaching and Presentation Skills, available on: https://fyi.extension.wisc.edu/wateroutreach/water-outreach-education/bep-web-site-resources/use-education-resources/tools-for-teaching/teaching-presentation-skills/

ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართლის კურსის შინაარსი მოიცავს თეორიულ კომპონენტს და მრავალი საკითხის დეტალურ ახსნას საჭიროებს; ამასთან, ითვალისწინებს სხვადასხვა სასამართლოს გადაწყვეტილებების დეტალურ ანალიზსა და მათ შედარებას. ამდენად, პრეზენტაციის მეთოდის გამოყენება უფრო მარტივს ხდის საკითხების ერთმანეთისგან გამიჯვნას და ეხმარება სტუდენტს, ადვილად დაიმახსოვროს ახალი ინფორმაცია. შესაბამისად, პრეზენტაციის სწორად მომზადებას უდიდესი მნიშნელობა ენიჭება, რისთვისაც სტუდენტები თეორიული მასალის გადმოცემასთან ერთად შეფასდებიან.

პრეზენტაციის სწორად მომზადება განსაკუთრებული მნიშნელობისაა, რადგან არასწორად მომზადებული პრეზენტაცია შეიძლება მოსაბეზრებელი აღმოჩნდეს აუდიტორიისთვის და დასახულის მიზნის საწინააღმდეგო შედეგამდე მიგვიყვანოს. ამიტომ, მისი მომზადებისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშნელოვანი წესი, მათ შორის, სწორად განსაზღვროს სლაიდების რაოდენობა, ფონტის ზომა, პრეზენტაციის დრო და ა.შ. როდესაც პრეზენტაციის მომზადების ზოგადი წესები დაცულია, ასევე, იგი სწორად არის მორგებული აუდიტორიაზე, ამ შემთვევაში კი - სტუდენტებზე, ლექციის მიზნის მიღწევა ყოველთვის შესაძლებელი ხდება. სტუდენტები მარტივად ეუფლებიან ახალ მასალას, კურსი არ არის მოსაწყენი და ლექციაც უფრო დინამიურია.

შეგვეძლოს იმის გადმოცემა რასაც ვსწავლობთ, ძალიან მნიშვნელოვანი უნარია. სწორედ ამიტომ, კურსის მიზნებით დასახული სწავლების შედეგების მიღწევისთვის, სტუდენტების მიერ ინდივიდუალური თუ ჯგუფური პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამიტომ ის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ფასდება. აღნიშნული მეთოდით სწავლება ზრდის სტუდენტების მოტივაციას, მათ ჩართულობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას. პრეზენტაციაზე მუშაობა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. მათ შორის არის დაგეგმვა, კვლევის პრაქტიკულად მომზადება და შედეგის დემონსტრირება. პრეზენტაცია სრულყოფილად წარმოდგენილად ჩაითვლება, როდესაც იგი თეორიასთან ერთად, პრაქტიკულ კომპონენტებსაც მოიცავს და სწორად არის აგებული, მათ შორის, დაცულია დროის მართვის ასპექტი.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენებით სტუდენტი ეუფლება ახალ ცოდნას, იგი ხდება აქტიური მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში და უღრმავდება ინტერესი მის მიერ დამუშავებული საკითხებისადმი. გარდა ამისა, სტუდენტს უვითარდება საჯაროდ გამოსვლის უნარი, რაც ასევე ხელს უწყობს კურსით დასახული მიზნების მიღწევას.

სასამართლო გადაწყვეტილების წერილობითი კომენტარი - ინოვაცია ქართული სამართის სკოლებისთის

ვინაიდან სამართალი დინამიურად ვითარდება, მისი შესწავლა გარკვეულ თავისებურებებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, სამართლის სწავლების მეთოდებიც მუდმივ განახლებას საჭიროებს, რათა კარგად მოერგონ ახალ, შეცვლილ გარემოებებს.

მოცემულ სტატიაში განხილული კურსი - ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართლი, ისწავლება თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე და იგი არ არის სამართლის პროგრამის ნაწილი. მიუხედავად ამისა, როდესაც საქმე ეხება კურსს ადამიანის უფლებების შესახებ, აუცილებელია, რომ სტუდენტები სწორად იგებდნენ იმ პრაქტიკულ გამოწვევებს, რასაც შეიძლება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით წააწყდნენ პრაქტიკაში, იცოდნენ როგორ განმარტავს მოსამართლე კონკრეტულ უფლებას, ან რა ხდება მაშინ, როდესაც ორი სხვადასხვა უფლების კონფლიქტი წარმოიშობა და ა.შ. სწორედ ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი, ამ ფორმით, როგორც სტატიაშია განხილული, მნიშვნელოვანი ტექნიკაა კურსის მიზნების მისაღწევად. სტუდენტებმა დეტალურად უნდა განიხილონ გადაწყვეტილების თითოეული კომპონენტი (ფაქტები, პრობლემა, პრეცენდენტი, წესები, გავრცელება, სასამართლოს პოზიცია), რათა სწორად გააცნობიერონ სასამართლოს როლი[15]. შესაბამისად, ზემოხსენებული საგნის სწავლება სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობითი კომენტარის მეთოდით, ძალიან საინტერესოა და შესანიშნავი შედეგები მოაქვს, როგორც სამართლის კურსის სტუდენტებისთვის, ასევე მათთვის, ვინც მოცემულ საგანს სხვა კურსის ფარგლებში გაივლის.

სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობითი კომენტარი იმ ფორმით, როგორსაც ავტორი გვთავაზობს, არის ფრანგულ უნივერსიტეტებში დანერგილი პრაქტიკის ანალოგი და შეიძლება ითქვას, რომ

[15] Howard E. Katz, Kevin Francis O'Neill, Strategies and Techniques of Law School Teaching, Aspen Publishers, 2009, p. 3. https://www.aspenpublishing.com/file%20library/faculty-resources/katzandoneill_lawschoolteaching.pdf

ინოვაციურია ქართული სამართლის სკოლებისთვის. ავტორმა აღნიშნული მეთოდის დადებითი შედეგები საფრანგეთში, სამართლის ფაკულტეტზე სწავლისას გამოსცადა. ის ფატქი, რომ მას ქართულ სამართლის სკოლაშიც აქვს განათლება მიღებული, აძლევს შესაძლებლობას, აღნიშნული მეთოდი შეადაროს სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საქართველოში დანერგილ სხვადასხვა სავარჯიშოს და გააანალიზოს, რამდენად ეფექტიანია ეს მეთოდი შემოთავაზებული კურსისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, კურსის შინაარსი ფართოდ მოიცავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობითი კომენტარი მნიშვნელოვანი მეთოდია კურსის მიზნების მისაღწევად, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებების სწორი გაგება და ანალიზი კურსის შესწავლის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

წერილობითი კომენტარი არის სამართლებრივი სავარჯიშო, სადაც სტუდენტი აანალიზებს სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებას. სავარჯიშოს მიზანია, სტუდენტმა ამოხსნას გადაწყვეტილების არსი, შეაფასოს მისი სამართლებრივი ღირებულება, ხოლო უმთავრესი ამოცანაა - მისი სწორად გაგებაა.

სავარჯიშოს შინაარსი თეორიულიცაა და პრაქტიკულიც, ვინაიდან, ერთი მხრივ, აუცილებელია საკითხის ცოდნა, მეორე მხრივ კი, სტუდენტი ყურადღებით უნდა მიჰყვეს მეთოდოლოგიას. აღნიშნული კი, წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი პარაგრაფებისა თუ საკითხების ანალიზს მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ კომენტარის წერის „ოფიციალური“ მეთოდოლოგია არ არსებობს. შესაძლოა, არსებობდეს რამდენიმე ვარიანტი, რაც დამოკიდებულია როგორც ლექტორზე, ასევე - კურსის შინაარსზე. მიუხედავად ამისა, მისი სტრუქტურა აუცილებლად უნდა შედგებოდეს შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან: შესავალი და საკითხის განვითარება (რომელიც მოიცავს ორ დიდ ნაწილს, ორ ქვეთავს და არ მოიცავს დასკვნას). კერძოდ,

შესავალი, რომელიც სავარჯიშოს მნიშვნელოვანი ნაწილია, მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- **მთავარი ფრაზა** - რომლითაც მკითხველის ყურადღებას ვიპყრობთ. აღნიშნული ფრაზა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მათ შორის: ციტატა, განმარტება და ა.შ.[16] მაგალითად, შეგვიძლია, მთავარი ფრაზა დავწეროთ ამგვარად: „**Nemo auditur suam propriam turpitudinem allegans**” - ანუ გავაკეთოთ სამართლებრივი პრინციპის ციტირება და ა.შ.
- **ფაქტები** - მნიშვნელოვანია, რომ ძალიან ნათლად გამოიკვეთოს დავის საგანი, მონაწილე მხარეები. აქვე, აუცილებელია, რომ ფაქტებს მიეცეს სამართლებრივი შეფასება[17].
- **პროცედურა** - აქ უნდა აღინიშნოს რა სამართლებრივი პროცედურები გამოიარა საქმემ, სანამ ის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომდე მივიდოდა.
- **მხარეთა პოზიციები** - ამ ეტაპზე უნდა გამოიკვეთოს მხარეთა მოთხოვნები. ეს ნაწილი შესაძლებელს ხდის, უფრო ნათელი გახადოს საკითხი და განსაზღვროს სამართლებრივი პრობლემა[18].
- **სამართლებრივი პრობლემა** - ეს გახლავთ შესავალი ნაწილის უმთავრესი კომპონენტი. აქ საქმე ეხება იმას, თუ რა პრობლემა გამოკვეთა სასამართლომ. აუცილებელია, რომ პრობლემა ეხმიანებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებას[19]. ეს არის სავარჯიშოს ის ნაწილი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოტოვოს სტუდენტმა. არასწორად ფორმულირებულ პრობლემას აუცილებლად მივყავართ დაბალი დონის კომენტარამდე.
- **სასამართლოს გადაწყვეტილება** - შემდეგ უნდა დაიწეროს, რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ და რა სამართლებრივი ღირებულება აქვს მას. მაგალითად, არის თუ არა ეს პრინციპის დონის გადაწყვეტილება, ცვლის თუ არა სასამართლო წინა პრაქტიკას და ა.შ.
- **გეგმის გამოცხადება** - აქ საქმე ეხება ფორმალურ წინადადებას (რაც შეიძლება მარტივი

[16] Méthodologie des exercices juridiques, Volume 2, Nanterre 2016, p. 47;

[17] Le commentaire d'arrêt – Méthodologie: http://www.etudesdedroit.fr/methodologie-2/le-commentaire-darret-methodologie/

[18] იქვე.

[19] იქვე.

ფორმულირებით) რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ორ დიდ იდეას უნდა აერთიანებდეს და ასახელებდეს წერილობითი კომენტარის ორ მთავარ თავს[20].

რაც შეეხება თვითონ გეგმას, ეს წესი არის ფუნდამენტური და იგი მოიცავს ორ დიდ თავს, რომელიც ჩაშლილია ორ მცირე ქვეთავად და როგორც უკვე აღინიშნა, სავარჯიშო არ მოიცავს დასკვნას.

წერილობითი კომენტარი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის გადაწყვეტილებას ეხება საქმე. მაგალითად, ზოგიერთმა კომენტარმა უნდა ახსნას არსებული პრინციპის გავრცელება კონკრეტულ ფაქტებზე, ან ახალი პრაქტიკის შექმნა, ხოლო სხვა შემთხვევაში ხდება გადაწყვეტილების ორიგინალურობის დასაბუთება ფაქტებთან მიმართებაში.

როგორც უკვე აღინიშნა, გამომდინარე იქედან, რომ ადამიანის უფლებების შესახებ კურსის სწავლა არასრულყოფილია სასამართლოს გადაწყვეტილებების გარეშე, მოცემული კურსიც ფართოდ მოიცავს ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მათი წერილობითი კომენტარი კი ძალიან ეფექტიანი მეთოდია ამ კურსისთვის. თავად კომენტარის წერის მეთოდოლოგია, როგორც ვნახეთ, დეტალურ ანალიზს მოიცავს. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სავარჯიშოს წერის დროს, სტუდენტებს არ ევალებათ სასამართლოს მრავალგვერდიანი გადაწყვეტილებები იკითხონ, არამედ მათ მუშაობა უწევთ გადაწყვეტილების მოკლე/შეჯამებულ ტექსტებზე. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები შეფასდებიან, როგორც თეორიული ცოდნის, ასევე, - პრატიკული კომპონენტისთვის; ეს უკანასკნელი კი შესაბამისი მეთოდოლოგიის დაცვასა და გამართულ სტრუქტურას მოიცავს.

განხილული მეთოდის გამოყენება მრავალგზის სარგებლის მომტანია სტუდენტებისთვის. პირველ რიგში, ისინი სიღრმისეულად ეუფლებიან სასწავლო მასალას და იღებენ მნიშვნელოვან ცოდნას კონკრეტული უფლებების შესახებ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულ ასპექტში. გარდა ამისა, იმახსოვრებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელთა ცოდნაც პირდაპირაა დაკავშირებული კურსის საფუძვლიან შესწავლასთან და განსაკუთრებით საინტერესოა მათთვის, ვისაც სპეციალიზაცია ადამიანის უფლებების მიმართულებით სურს. ამასთან, სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე წერით, სტუდენტები იუმჯობესებენ აკადემიური წერის უნარებს. გარდა აღნიშნულისა, ამ მეთოდის გამოყენების შედეგად, მათ უვითარდებათ სამართლებრივი წერის, კრიტიკული ანალიზისა და სასამართლოს გადაწყვეტილების სწორად გაგების უნარი, რაც დიდწილად განსაზღვრავს კურსით დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებას.

დასკვნა

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ ზემოთ განხილული სასწავლო მეთოდების გამოყენება გამორჩეულად პროდუქტიულია კურსის მიზნებისთვის. როგორც უკვე ხაზი გაესვა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ინოვაციურობის, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. იგი ეხმარება სტუდენტს განივითაროს დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, ხელს უწყობს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას და სასიამოვნოს ხდის სწავლის პროცესს.

რაც შეეხება დემონსტრაციის მეთოდს, ის სტუდენტებს აქტიურ როლს ანიჭებს და ზრდის მათ ინტერესს. გარდა ამისა, ეს მეთოდი უვითარებს მათ საჯარო გამოსვლისა და ჯგუფური მუშაობის უნარებს, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია კურსის მიზნებისთვის.

სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობით კომენტართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციურია ქართული სამართლის სკოლებისთვის და გამორჩეული მეთოდია კურსის მიზნების მისაღწევად. უფრო დეტალურად, იგი ხელს უწყობს თეორიის სიღრმისეულ შესწავლას, უვითარებს სტუდენტს აკადემიური წერის და სხვა ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორებიცაა სამართლებრივი წერა და არგუმენტაცია, კრიტიკული ანალიზი და სამართლოს გადაწყვეტილების სწორი გაგება. ამის შედეგად კი, ისინი იმახსოვრებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელთა ცოდნაც პირდაპირ დაკავშირებულია კურსის სიღრმისეულ შესწავლასთან და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც სპეციალიზაციას ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით აპირებს.

[20] Le commentaire d'arrêt – Méthodologie, available on : http://www.etudesdedroit.fr/methodologie-2/le-commentaire-darret-methodologie/

ბიბლიოგრაფია

Dehaene, S., Apprendre! Les talents des cerveaux, le défi des machines, Éditions Odile Jacob, 2018;

Desjardins J., et Sénécal I., La Pédagogie Active, 2016, available at : https://www.profweb.ca/publications/dossiers/la-pedagogie-active

General Teaching Methods, Presentation, 2020, available at: https://www.open.edu/openlearncreate/mod/page/view.php?id=152277#:~:text=A%20presentation%20delivers%20content%20through,the%20audience%20in%20active%20discussions

Howard E. Katz, Kevin Francis O'Neill, Strategies and Techniques of Law School Teaching, Aspen Publishers, 2009, p. 3; available at: https://www.aspenpublishing.com/file%20library/faculty-resources/katzandoneill_lawschoolteaching.pdf

"Is the Student-Centered Learning Style More Effective Than the Teacher-Student Double-Centered Learning Style in Improving Reading Performance?", Front. Psychol., 27 November 2019, available at: https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2019.02630/full

Kapur R., Presentation Method: Indispensable in Imparting Knowledge in Educational Institutions at all Levels, University of Delhi, 2020, available at: https://www.researchgate.net/publication/345893942_Presentation_Method_Indispensable_in_Imparting_Knowledge_in_Educational_Institutions_at_all_Levels

La pédagogie centrée sur l'étudiant, available at : https://www.fage.org/idees/enseignement-superieur/pedagogie-apprentissage/pedagogie-centree-etudiant.htm

Law of Georgia on Higher Education, available at: https://matsne.gov.ge/en/document/view/32830?publication=56 [24/06/2022]

Le commentaire d'arrêt – Méthodologie, available at : http://www.etudesdedroit.fr/methodologie-2/le-commentaire-darret-methodologie/

Lynch. A. "Why do we Moot? Exploring the Role of Mooting in Legal Education" [1996] LegEdRev 3; 7(1) Legal Education Review 67, available at: http://www7.austlii.edu.au/cgi-bin/viewdoc/au/journals/LegEdRev/1996/3.html

Méthodologie des exercices juridiques, Volume 2, Nanterre 2016, p. 47;

Méthodologie du commentaire d'arrêt : available at : https://licence-droit.fr/2022/02/16/methodologie-du-commentaire-darret-reussir-a-coup-sur/#:~:text=Le%20commentaire%20d'arr%C3%AAt%20est,il%20ne%20comprend%20pas%20la

Teaching and Presentation Skills, available at: https://fyi.extension.wisc.edu/wateroutreach/water-outreach-education/bep-web-site-resources/use-education-resources/tools-for-teaching/teaching-presentation-skills/

"What Is Student Centered Learning and Why Is It Important?" Available at: https://xqsuperschool.org/rethinktogether/what-is-student-centered-learning/